წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | კვირა 14 თებერვალი 1916 წ. | № 35

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ.; [illegible] შუა მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

## კაზმული და სამხატვრო კრებული „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.



საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)



## შეშის საწყობი ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.)



საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)



## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**სამშაბათს 16 თებერვალს 1916 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მადამ სან-ჟენ

კომ. 4 მოქ. სარდუსი, თარგმ. კ. მესხისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ნ., სინაურიძე ო., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იშხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., ანდრონიკაშვილი კ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

მორიგი წევრი გამგეობისა: **ნ. ერისთავი.**

**ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე“.**

(3—45—2)



## კვირას, 14 თებერვალს

სახაზინო თეატრში

იმართება

## შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა

ოთხ განყოფილებად

I

## ივ. გომართელის სიტყვა

II

**მილოცვები:** ბავშვებისა, ქართულ დაწესებულებათა და სხვათა.

III

## საკონცერტო განყოფილება

**მონაწილეობენ** დეკლამატორი ბავშვები, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სასწავლებლის მოწაფენი, „განათლების“ სასწავლებლის და კ. ჩარკვიანის მომღერალთა გუნდი, ახალი კლუბის ორკესტრი და სხვა.

IV

**ცოხალი სურათები (შიოს ნაწარმოებიდან) რეჟისორი ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით.**

**ანტრაქტებში დაუკრავს ახალი კლუბის ორკესტრი.**

დაწვრილებით პროგრამებში.

**ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.** დარჩენილი ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში დილის 10 საათიდან.

**დასაწყისი სწორედ შუადღის 12 საათზე.**

12 საათზე სათეატრო დარბაზის კარი დაიკეტება და თეატრში ანტრაქტამდე აღარავის შეუშვებენ

**ადმინისტრაცია ქართულ კულ. მოყვარ. საზოგადოებისა.**



## „ახალი კლუბი“

**ერთი კვირის პროგრამა 15—21 თებრვლამდე 1916 წ.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

**სამშაბათი**—კონცერტი იტალიანურ ოპერის მომღერალ ქალისა **კარ მენ სოლიარისა** და საიმპერატორო ოპერის ყოფილ არტისტისა **ბერნანდისა.** კონცერტი უფასოა.

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრი.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—დღისით ლექცია ქართულ კულტურულ საზოგადოებისა. საღამოს სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.

**შაბათი**—კონცერტი ახალგაზრდა მომღერალისა **ვარდენ ლორთქიფანიძისა** კონცერტი უფასოა

**კვირა**—სამხე დრო ორკესტრი

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1—05 კ.,

(6—57—1)



## სახალხო სახლი

**კვირას, 14 თებერვალს**

**დღის 1 საათზე გაიმართება**

I

## ლექცია

## შრომის მოციქული—პოეტი იოსებ დავითაშვილი

წაიკითხავს **იოსებ იმედაშვილი.**

II

## უარალი პაპო გლახიაშვილი

დრამატ. პოემა ილია ჭავჭავაძისა.

III

## სცენები, ლექსები და სიმღერები

**ადგილების ფასი 10 კ. 60კ.-მდე.**

დაწვრილებით იხილეთ აფიშებში.

(3—51—3) გამგე **ბეგლარიძე.**



**იბეჭდება და 14 თებერვალს გამოვა ალმანახი**

## „ცისფერი ყანწები“

შინაარსი: 1. **პაოლო იაშვილი:** პირველთქმა ლიტერატურული მანიფესტი.

2. **პოეზია:** გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარიანი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ყიფიანი და პ. იაშვილი.

არტ. ჰუმბაძე—ნაწყვეტი რომანიდან.

ნ. ლორთქიფანიძე—ზღაპარი.

ალ. ცირეკიძე—მინიატიურა.

აკაკი ფალავა—„თეატრი“.

3. **კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, შენიშვნები.**

ყდა—ლადო ჯაფარიძისა.



## განცხადება

## „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს „ახალი „კლუბის“ წევრთ, რომ რადგანაც დანიშნული

## წლიური კრება

ამა თვის 2-ს არ შესდგა მეორედ დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 12 ს.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის ძალით კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები:** 1) მამასახლისთა საბჭოს 1015 წლის მოქმედების ანგარიში; 2) მიმდინარე 1916 წლის შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა; 3) მიმდინარე საქმეები და 4) არჩევნები: 1) მამასახლისთა, 2) სარევიზიო კომისიის წევრთა, 3) კლუბის წევრთა და 4) მუდმივ მოსიარულეთა.

(3—55—3)



## სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.

უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.



ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.



**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა



კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.



ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


## თბილისი, 14 თებერვალი

**შინაური კოლონიზაციის მოგვარების საჭიროება.**

ქუთაისის გუბერნიაში მიწის დიდი სივიწროვეა. ეს უკანასკნელი ორი ათეული წელიწადი იქნება, რაც დიდძალი მეგრელობა სტოვებს თავის მამა-პაპეულ სამკვიდრებელს და აფხაზეთში მიემგზავრება ბინის დასადებად. ასევე იქცევიან სვანებიც. რაჭველები, რომელთაც მიწის ქრონიკული სიმშილი აწუხებს, გადასცდენ დედა სამშობლოს საზღვრებს და თერგის ოლქშიც კი გადასახლდნენ.

იმერეთის სხვა კუთხეები, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო სტოვებენ წინაპართა საბინადროს და აღმოსავლეთ საქართველოსკენ მოიწევიან. მიწის სივიწროვის გარდა, რომელსაც პასიური ელემენტები ჯერ კიდევ დიდ ხანს შეურიგდებოდენ ქუთაისის გუბერნიაში, იმერთა საკოლონიზაციო მოძრაობის გაჩაღებაში დიდ როლს თამაშობს ოვით იმერლის მოძრავი, ცოცხალი და მაძებარი ბუნება. ვიცით აგრედვე. რომ იმერლის გვერდით სხვა უცხო ელემენტი, უცხო ეროვნების წარმომადგენელი, ველარ ხეირობს.

იმერლის გამჭრიახობას, უნარსა და მედიდურებას შემოხიზნული ელემენტი ვერ უძლებს. ბევრია ამის მაგალითი. სამეგრელოში ჩამოყვანილი და იქ საქმეში ჩაყენებული სომხობა იქიდან მალე აბარგულა და წამოსულა. დადიანების ტყის დასამუშავებლად ბ-ნმა არამიანცმა და კომპანიამ, ტყის ახალმა პატრონებმა დიდძალი სომხობა ჩამორეკეს განჯისა და ერევნის გუბერნიებიდან. ტყის დამუშავებას, ცხადია, მოჰყვებოდა ამ ადგილების დასახლება სომხებისაგან, როგორც ეს სხვაგან მომხდარა. მაგრამ სამეგრელოში ეს არ განმეორდა. კონკურენტებად ჩამოსულ მუშა—სომხებს მეგრელებმა ცხოვრების პირობები იმ ზომამდე გაუძნელეს, რომ ბარგი-ბარხანით ჩამოსული კრუა სომხები იძულებული გახდნენ როგორც ჩამოვიდენ, ისე უკანვე წასულიყვნენ.

სომხები ცდას არ აკლებენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში მტკიცე საბინადრო გაიჩინონ და თვით ქუთაისიც ხელში ჩაიგდონ აღებ-მიცემობის მხრივ, მაგრამ ვერაფერს ჰხდებიან. ქუთათელი ვაჭრები, რომელნიც ამ უკანასკნელ თხუთმეტი წლის წინად, თითქმის ყველა სომხის მსხვილი ვაჭრების ყმა-მუშარები იყვნენ, დღეს მათგან დამოუკიდებლივ მოქმედებენ და აღებ-მიცემობა პირდაპირ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქარხანა-ფირმებთან. დაიჭირეს. სომხის ერთად ერთი დიდი მამული იმერეთში—ანანოვის მამულია. მაგრამ ბ-ნი ანანოვი საკმაოდ არის გაფრთხილებული, რომ იქ სომხების კოლონიზაციის გაშენება გულში განიზრახოს. თავის მამულის მომვლელ დამმუშავებელად სულ იმერლობა ჰყავს აყვანილი.

ერთის სიტყვით, იმერელი საუკეთესო კოლონიზატორია, იგი საიდეალო დამცველი და დარაჯია თავის სამშობლო მიწა-წყლისა. ამ ძვირფას აგენტს მოვლა და პატრონობა უნდა. ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით, თუ როგორ დაძრწოდენ წლიდან წლობით იმერეთის რამოდენიმე სოფლის მცხოვრებნი შეუწყნარებელის თხოვნით, უსახლკარონი და მიუსაფარნი! არც მეფის ნაცვლის კანცელარია და არც სახაზინო მიწათა მმართველობა მათ თხოვნას არ აკმაყოფილებდა; თავისუფალი მიწა არ არის და აბა რა მოგცეთო. ხოლო ამავე დროს კახეთში გაშენდა რამდენიმე რუსის სოფელი, და დიდძალი სომხობაც იმკვიდრებდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში!

რომ პატრონი და ჭირისუფალი გაჩენოდა ამ საცოდავ ქართველ გლეხებს, რომ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას პრაქტიკული ეროვნული საქმიანობის შნო და უნარი გამოეჩინა, მაშინ საქართველოს შუაგულში სომხისა და რუსის სოფლები არ გაშენდებოდა და არც ის დიდძალი მუყაითი გლეხობა დაეკარგებოდა ჩვენს სამშობლოს, რომლის ერთი ნაწილი ამ ძრწოლასა და უნაყოფო თხოვნაში უსახლკარობით და სიმშილ-წყურვილით ფიზიკურად ამოსწყდა,—ხოლო მეორე ნაწილი თერგის ოლქში გადასახლდა, სა

და, პირველ ხნის უმიზნო ბრძოლის შემდეგ თავის ეროვნული ვინაობის შესანარჩუნებლად, იგი ვერ აიცდენს ადგილობრივ მცხოვრებლებში გათქვეფას და თავის სამშობლოს სულითაც დაეღუპება და ხორცითაც!

მაგრამ არც ეხლა მგონი! ეხლა ისეთი დრო დგას, როდესაც წარსული შეცდომის გამოსწორებაც შეიძლება და მით უმეტეს ახალი შეცდომის არიდება. თუ ჩვენი სამშობლოს საზღვრებში ჯერ კიდევ სადმე დარჩენილა თავისუფალი, დასასახლებელი მიწები, ვეცადნეთ ისინი დავასახლოთ იმერლებით თუ სხვა კუთხის ქართველებით, რომელნიც ამ საკოლონიზაციო ნიჭსა და უნარს იჩენენ. საქართველოს საზღვრებში ქართველთა საკოლონიზაციო მოძრაობას უნდა მიეცეს მწყობრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხასიათი.

თუ რომ გვინდა ასცდეს ჩვენს ქვეყანას ახალი დაქუცმაცება და ახალ-ახალი ეროვნული უბედურება უსისტემო, ანარქიულმა საქმიანობამ და დროგამოშვებითმა უნიათო აპილპილებამ და გრძნობის მამულიშვილურმა აჯანყებამ ადგილი უნდა დაუთმოს მიზანშეწონილ ეროვნულ პოლიტიკას და მეთოდიურ განუწყვეტლივ საქმიანობას. ამ საქმის ცენტრში, ჩემის აზრით, შეიძლება ჩადგეს თბილისის საადგილმამულო კომისია, რომელმაც უნდა გარს შემოიკრიბოს სათანადო და ამ საქმისათვის გამოსადეგი ძალები.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

13 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგასკენ ძლიერი საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით კუნძულ დალენის რაიონში. დვინსკთან. გუშინ მკვირცხლი სროლა იყო ილლუქსტის მხარეზე და გორბუნოვის სამხრეთით. კუხოცკა-ვოლიას დასავლეთით, პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, რუსებმა მოსპეს მტრის სადარაჯო და თვით მოდარაჯენი დაატყვევეს. გალიციაში, სოფ. ელიადკის რაიონში, ვორობიევკასა და მიხალეჩთან ბრძოლა გრძელდება ხელით სასროლი ყუმბარებით.

შავი ზღვა. რუსთა ნაღმოსნებმა სინოპის რაიონში მოსპეს 4 იალქნიანი გემი, დაანგრიეს ხიდები და აქლემების ქარვანი გაჰფანტეს ზარბაზნის ტყვიით.

კავკასიის ასპარეზი. რუსთა ჯარებმა ბრძოლით აიღეს ქალაქი ისპირი. აზრუმისა და ხნისის რაიონში ოსმალთა დევნას განაგრძობენ.

სპარსეთში ქერმანშაჰის რაიონში რუსებმა მთიან ადგილებიდან გადმოჰყარეს მოწინააღმდეგენი და ქალაქი სახნე აიღეს. ამ ბრძოლაში რუსებმა ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი. თეირანის სამხრეთით რუსის ჯარები ქალაქ ქაშანში შევიდნენ.

**პარიზი,** 12 თებერვალი. არგონებში ვოკუას აღმოსავლეთით ჩვენ ხელახლად დავუშინეთ მტრის სიმაგრეებს შეპის ტყის რაიონში. მალენკურისა და მაასის მარცხენა ნაპირის შუა დრო გამოშვებით საარტილერიო სროლა იყო. ვერდენის ჩრდილოეთით სროლა გრძელდება, თუმცა სიმკაცრეს გუშინდელი სიმტკიცის ხასიათი აღარა აქვს. ბომონის უკან ორწყებად გავაწყეთ ჯარები და ველით მტერს. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

**სოლუნი,** 10 თებერვალი. ფრონტზე სიწყნარეა. ტრანსპორტებიდან გადმოდიან ჯარები და თან სამხედრო მასალა გადმოაქვთ. სერბეთიდან როგორც ნცობები მოდის ორი გუბერნატორი დაუყენებიათ იქ, ერთი სამხედრო და ერთიც სამოქალაქო. ავსტრიელი ყველა ხელოსნები და ვაჭრები მძევლად წაუყვანიათ ავსტრიაში, რათა მათ აგონ პასუხი თუ სერბეთში მცხოვრებნი მტრულს განწყობილებით შეხვდებიან მათს ჯარებს.

**ლონდონი,** 11 თებერვალი. „ლლოიდს" ატყობინებენ: ამას წინად გერმანელთა მიერ დატყვევებული ინგლისელების გემი „ვესტბურნი" გაიყვანეს გაშლილ ზღვაში დი დაჰლუპესო.

**პარიზი,** 11 თებერვალი. დღისით მოსული ცნობა. არტუაში, სუშეს აღმოსავლეთით ბრძოლა ხელით სასროლი ყუმბარებითა ხდება. ვერდენის ჩრდილოეთით მთელ ღამის განმავლობაში ბრძოლა ძველი სიმძაფრით გრძელდებოდა მაახიდან მოყოლებული ორონამდე. რაკი ჩვენ წინა პოზიციებს ბრაბან-სიურ-მეზთან საშინელი ცეცხლი გაუჩინეს, ჩვენმა ჯარებმა დასცალეს ეს ჩოფელი და ღამით ჩვენი არტილეერიით ზურგ გამაგრებულებმა მაასის მარცხენა ნაპირას პოზიციებს მიაშურეს. სამონიეს წინ იერიშით წამოსული გერმანელები უკუვაგდეთ. მეორეხელ კორსოს ტყისკენ თითქმის მათი ერთი ბრიგადა წამოვიდა იერიშით, რის შედეგად მხოლოდ ის მიიღეს, რომ ტყის ერთი ნაწილი ჩაიგდეს ხელში. ჩვენს ხელთ მხოლოდ ტყის სამხრეთი ნაწილიღაა ეხლა. რომ ბომონისკენ წაასულიყვნენ იერიშით, გერმანელთ ყველა ცდამ ამაოდ ჩაუარათ. მათ ვერ ამოგვრეკეს ჩვენი თხრილებიდან. ამ ადგილიდან. შემაერთებელი გზები კიდევ ხელთა გვაქვს ჰერბებუმის მიმართულებით. ჩვენ ჯართა დახევა, რათა მოერიდოს უშედეგო მსხვერპლს, სრული წესრიგითა ხდება, ამასთანავე მტერს ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მეტად ძვირად უჯდება. მიუხედავად იმისა, აღსანიშნავია, რომ ამდენი მსხვერპლის შემდეგაც კი ვერცერთგან ვერ მოახერხეს ჩვენი ფრონტის გარღვევა. ორანისა და ფრეგეზის შუა სუსტი საარტილერიო სროლაა. ლოთარინგიაში გერმანელებმა მოახერხეს შეძინეს ტყესთან ჩაეგდოთ ხელში ერთ-ერთი ჩვენი პოსტი, მაგრამ დაუყოვნებლივ კონტრ-იერიში მივიტანეთ და უკანვე გავრეკეთ. გუშინღამ ერთმა ჩვენმა ჰაერის ესკადრამ 45 ყუმბარა ჩამოაგდო,—ზოგიერთა მსხვილი ყალიბისა,—სხვა და სხვა სადგურებზე, მეცში, საბლონში და სხვა. ერთგან დიდი ცეცხლი შეჰნიშნეს.

**კოპენჰაგენი,** 11 თებერვალი. ბულგართა მინისტრთა საბჭომ გარდასწყვიტა უფლება მისცენ გერმანეთს ექსპლუატაციისა ბალკანეთის უმდიდრეს სპილენძის მაღაროებისა ბორის მახლობლად. ბულგართა მიერ დაჭერილ სერბეთის ნაწილში.

ბელგეთში გარდაიცვალა გერმანეთის ფლოტის ხელმძღვანელი ადმირალი ფონ-პოლი.

**პარიზი,** 11 თებერვალი. სროლა ავუტეხეთ მტრის სანგრებს მეზონ-დე-შამპანისკენ და სენტ-მარის სამხრეთით. არგონებში დიდი ზიანი მივაყენეთ გერმანელთა თხრილებს. ვერდენის ჩრდილო რაიონში ძველი სიმტკიცით საარტილერიო ცეცხლს აჩენდნენ ჩვენს ფრონტზე, მაასიდან მოყოლებული სამხრეთისკენ ფრუმეზამდე. არტილერიის ცეცხლი ოდნავ შენელდა მალენკურისა და მაასის მარცხენა ნაპირს შუა. ამ რაიონში ჯერ ქვეითა ჯარს არ მოუტანია იერიში. მაასის მარჯვენა ნაპირისა და ორნის შუა გერმანელებმა ისეთივე სიმკაცრე გამოიჩინეს, როგორც წინა დღეს. გაafთრებული იერიშების დროს აუარებელი დაეხოცათ, მაგრამ ფრონტი ვერ გაარღვიეს. ორთავე ფრთაზე ჩვენ ოდნავ უკან გადავწიეთ ბრძოლის ხაზი სამენიედან და სამხრეთით ორანიდან. ჩვენი არტილერია შეუჩერებლივ უპასუხებდა მტრის ცეცხლს. ლოთარინგიაში უკან გავიფრინეთ მტრის მზვერავები.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ზავის ახალი პირობები.**

„ფოსიშე ცაიტუნგ"-ში მოთავსებულია რეიხსტაგის დეპუტატ ტრაუბეს წერილი. ეს წერილი გამოუწვევია შვეიცარიულ გაზეთ „ნევ ციურიშენ ცაიტუნგ"-ში მოთავსებულ წერილს, სადაც ნათქვამია: ზავი ისეთს პირობებით უნდა ჩამოვარდეს, რომ არსებული ტერიტორიული მდგომარეობა აღდგენილ იქმნას, მცირეოდენის ცვლილებით, ეროვნულ შუღლის დასაცხრობად.

ზავის პირობები ასეთია: სრული აღდგენა ბელგეთის დამოუკიდებლობისა; გერმანეთს დარჩება ელზას-ლორენი და დაევალება მოსახლეობის ეროვნული უფლებათა დაკმაყოფილება.

რუსეთს შერჩება ბალტიის მხარე. დაარსდება პოლონეთის სამეფო. 1815 წ. ვენაში მომხდარ კონგრესის დროს განსაზღვრულს ფარგლებში. პოლონეთის მეფედ იქნება არა გერმანელი პრინცი, არამედ პოლონელთა ეროვნული მეფე. პოლონეთის სამეფომ უნდა დაიცვას მუდმივი საუკუნო ნეიტრალობა, რომლის თავდებადაც დიდი სახელმწიფოები იქნებიან.

გერმანეთს დაუბრუნდება ყველა ჩამორთმეული ახალშენები. არავითარი კონტრიბუცია არ გადაჰხდებათ.

ამ პირობებს ეხება დეპუტატი ტრაუბე და ამტკიცებს, რომ ევროპის სახელმწიფოების წინანდელ ფარგლებში აღდგენა მერმისში ახალ ომიანობის საბაბად გახდება. გერმანეთმა ჰუმანიზმის გულისათვის სრულს გამარჯვებას უნდა მიაღწიოსო.

**იშვიათი გულახდილობა.**

„Berl. Tag."-ი იშვიათ გულახდილობას იჩენს აზრუმის დაცემის შესახებ: „აზრუმის დაცემა,—ამბობს გაზეთი,—ეს პირველი და უკანასკნელი გაფრთხილება არ არის ჩვენი ურა პატრიოტებისათვის. ასეთი მარცხი დიდს გავლენას იქონიებს არა მარტო ოსმალეთზე, არამედ გერმანეთზედაც. ჩვენ მეტად სუბუქად მოვიქეცით ბალკანეთის ოპერაციების დროს. მოკავშირეთა ძალები დღითი-დღე მტკიცდება ადრიატიკის თუ ხმელთა შუა ზღვაზე. აზრუმის დაცემის გამო რუსეთს გზა ეხსნება მცირე აზიისკენ ისეთი მოულოდნელი სახით, რის წარმოდგენა არავის არ შეეძლო. დროებით სტამბოლი უზრუნველყოფილია, მაგრამ ჩვენი ურა პატრიოტები ამაოდ ოცნებობენ, ვითომც აზრუმს პერემიშლის ბედი ეწვიოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანეთს არ შეუძლიან დახმარება გაუწიოს ოსმალეთს. ოსმალეთი საკუთარ ძალას უნდა ენდოს, ამ ახლო მომავალში მაინც ჩვენი იმედი არ უნდა ჰქონდესო.

**გერმანელთა ტრაბახი.**

„რუსკ. სლოვ." თანამშრომელს ულაპარაკნია ტყვე გერმანელ აფიცრებთან, რომელნიც ეჭვს არ იტეხენ და დაჟინებით სრულს გამარჯვებაზე ოცნებობენ: „ჩვენ ჯერ თქვენთან ვჩხუბობთ,—უთქვია ერთ მათგანს,— უკედ რომ ვსთქვათ, ახლა ვაპირებთ ჩხუბსა და დარწმუნებული ვართ, მალე, სულ მალე ვიბანავებთ **ჩვენს დვინაში**. რა თქმა უნდა, ყველა ეს გათავდება ისე, როგორც **ჩვენ** გვსურს, ისევე სახელოვანად, როგორც დღემდე. ჩვენ ამოვიღეთ მახვილი, ჩვენვე ვაიძულებთ გერმანეთის მტრებს ნებსითვე ჩააგონ მახვილი. ამისთვის კი გამარჯვებაა საჭირო და მართლაც მალე მივაღწევთ ახალს ისეთს გამარჯვებას, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყნიერებას არ ჰსმენოდეს! რომელ ასპარეზზე მივაღწევთ ასეთს გამარჯვებას? ბალკანეთის ოპერაცია დამთავრდა, მაგრამ მას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ასეთ გამარჯვებას, რომელსაც უსათუოდ შემოდგომამდე საყოველთაო ზავი მოჰყვება, გზას გავაკაფვინებთ აქეთ, რუსეთისკენ. ეს გზა სწორედ ამ დვინაზე გამოდის. ვიცით, ურყეველი იმედით ხართ აღფრთოვანებულნი, ბავშვები არ ვართ, ანგარიში არ გავუწიოთ თქვენს ძალას, მაგრამ მალე დაინახავთ, თუ რა შესძლებია გერმანეთს, რა გააკეთა მან თქვენს კურლიანდიაში შემოდგომის აქეთ. თქვენ და თქვენი მოკავშირენი სიტყვიერად იძახით „ყოველისფერი ომისთვისაო", მაგრამ ეს „ყველაფერი" მხოლოდ სიტყვად დაგრჩათ, მაშინ როდესაც ჩვენ არ ვამბობთ „ყოვლისფერი ომისთვის",— მაგრამ **ყოველისფერი კი ომისთვის კეთდება**! ორი წელია გვებრძვით და ვერ შეგიგნიათ, რომ ჩვენთვის ომი მხოლოდ სისხლის ჭადრაკის თამაშია და არ გამოსვლას წინდაწინვე ვანგარიშობთ. ჩვენ არაფრის წინ არ ვიხრით ქედს და არც საშუალებას მოვერიდებით გამარჯვების მისაღწევად. თუ საჭიროა ტყე გაიჩეხოს, მოვჩეხავთ, თუ საჭიროა სოფლების განადგურება, ვანადგურებთ, თუ შემოგვაკლდა მამა კაცთა ხელი, ქალებს გამოვიყვანთ, თქვენს ტყვეებს დაგიყენებთ წინ, მათ გავათხრევინებთ სანგრებს, შევაიარაღებთ და ვაბრძოლებთ თქვენს წინააღმდეგ, მაგრამ ქედს კი ვერ მოგვახრევინებთ. თუ საჭმელი შემოგვაკლდა, ტყვეებს აღარას მივცემთ, თავში ქვა იხალონ, და ისე იშოვნონ საჭმელი დაიხოცებიან და დაიხოცნენ მათს ადგილას ახალ-ახალს ტყვეებს მოვლალავთ, ყოველისფერი ომისთვის,— აი ჩვენი კატეხიზმის მთავარი მუხლი! რაც დაგვიჭერია, რაც წაგართვით, სულ ციხე-ბურჯად გარდავქმენით. მთელი სხეულით აზიდულნი მტკიცედ ვდგევართ თქვენს წინ და მრისხანედ შეგყურებთ თვალში. ჩვენს ჯავშნიან ფეხს ვერაფრით ვერ შეარყევთ"!—

## უკანასკნელი ფოსტა

პეტროგრადში გამოაქვეყნეს დროებითი კანონები, სადაც ნაჩვენებია ის წესი, თუ ამ ომიანობის დროს როგორ უნდა იქმნენ გამოყენებულნი ახალგაზრდანი, რომელთაც სწავლის გამო შეღავათი ჰქონდათ მიცემული.

„რეჩის" ცნობით, კავკასიის ფრონტზე მოპირდაპირე ჯართან რუსის ჯარს სერიოზული შეტაკება მოუხდება. მოსალოდნელია, რომ ამ ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღოსო. ამბობენ, ოსმალებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და რუსის ჯარს ნებას აღარ მისცემს დასავლეთით ვაილაშქროსო. ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ ოსმალები აზრუმიდან სამოც ვერსის მანძილზე გაურეკნიათ. ოსმალთა მთავარი ძალა თავს იყრის სივასში.

გერმანელების აზრით ვერდენის აღება აზრუმის გამარჯვებას დაჩრდილავსო.

ერთს ინგლისელს შემდეგი უთქვამს: ეს მომავალი უდიდესი იერიში გერმანელებისა ეგვიპტისკენ იქნება მიმართული და გერმანელების მიზანი იქნება სუეცის არხის დაპყრობა. აზრუმის აღების შემდეგ რას განიზრახავს გერმანეთი, ან საით გაილაშქრებს, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

## ბრძოლის ველზე

19 4 წლის ივლის-აგვისტოს პირველ შეტევის დროს გერმანეთის სამხედრო შტაბმა თავის მოიერიშე ჯარს, რომელიც ჩამოსხმულ ჯავშანს წარმოადგენდა და რომლის სიმტკიცე და ძლიერება ჯერ ხელშეუხებელი იყო, აარიდა ვერდენ-ტულ-ეპინალის ხაზი, რომლის გასამაგრებლად საფრანგეთის სამხედრო ხელოვნება მთელი ორმოცი წლის განმავლობაში არაფერს ზოგავდა. სიმაგრეთა ეს ხაზი აუღებელ ხაზად იყო მიჩნეული და ამიტომაც გერმანეთის ჯარის ძლევა მოსილმა ტალღამ მას გვერდი აუქცია, ბელგეთს მიაწვა, რათა საფრანგეთის გულს, პარიზს, ჩრდილოეთით სძგერებოდა. მას აქეთ ბრძოლის პირის გამაგრება საშინელის და ჯანგაუტეხელის ენერგიით და მეთოდიურობით სწარმოებს.

თუ 18 თვის წინედ სახიფათო იყო ამ ხაზით შეტევა და ნაკლებ საიმედო, დღეს, როდესაც თვით ჯარებსაც გამოელიათ ძლიერების პირვანდელი სიმხურვალე და ჯანგატეხილობა დაეტყო, ამ გზით შემოტევა მათი უფრო სახიფათოდ და თავხედობის აქტად უნდა ჩათვლილიყო.

მიუხედავათ ამისა, გერმანეთის სამხედრო შტაბმა ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლა სწორედ ვერდენის რაიონში გააჩაღა, და რაც დღე მიდის მას უფრო და უფრო ამკაცრებს და ამძაფრებს.

ბრძოლა თანდათან ფართოვდება. სამხედრო ავტორიტეტები აქ გენერალურ ბრძოლას მოელიან. სჩანს გერმანელები ყოველის მხრით არაჩვეულებრივად მომზადებულან, რომ ამ რაიონში დიდი მაშტაბის ბრძოლას აჩაღებენ. ფრანგები ვერ უმაგრდებიან. ოფიციალი ცნობით, ისინი პოზიციებს სტოვებენ და წესიერად უკან იხევენ, რათა „თავიდან აეცილებინათ ზედმეტი მსხვერპლი", როგორც ამას ამბობს ოფიციალი დეპეშა. გერმანელების ასეთი თავგანწირული შეტევა, რომელიც არავითარი მსხვერპლის წინ არ იხევს, საერთო სიუპრიზს იწვევს, როგორც ამ ბოლო თვეების უმოქმედობის დროს ის აზრი განმტკიცდა, რომ გერმანეთი დასავლეთის ფრონტზე დიდი მაშტაბის შემოტევას არ შეუდგებოდა.

კავკასიაში აზრუმის აღების სრული ლიკვიდაციის ხანა ახლოვდება. ოსმალები თავს უყრიან თავიანთ ჯარებს სხვა და სხვა მხრიდან და რაც შეიძლება ცდილობენ დიდის ძალებით შეებან რუსებს. აზრუმის დასავლეთ მოშორებით ოსმალებმა მაღლობები გაამაგრეს და ამ მაღლობების რაიონში ბრძოლის გაჩაღებას ესწრაფვიან. როგორც სჩანს, აქ ბრძოლა კიდევაც დაწყებულა.

სპარსეთში რუსის ჯარი ქერმანშაჰის მიდამოში იმარჯვებს. უკანასკნელი სასწრაფო დეპეშის ცნობით. ეს ქალაქი რუსებს აუღიათ: გერმანელების სამხედრო აგენტმა, გენერალ კანიცმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ ქალაქის დაცვას ჟანდარმებისა და მუჯახიდების შემწეობით, ქერმანშაჰის აღების შემდეგ თავი მოიკლა.

მეგრი.

## დეპეშები

(„საქართველო"ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**გერმანელთა სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა მედგარი იერიშით მივიდეს საფრანგეთის ჯარზე და აიღოს ვერდენი.**

**ბულგარეთის მეფე საეკლესიო კონკორდატით (შეთანხმებით) შეეკვრა რომის პაპის.**

## სახელმწიფო სათათბირო

12 თებერვლის სხდომა.

**ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს შემდეგ როძიანკო.** მინისტრთა ლოჟაში სხედან შინაგან საქმეთა მინისტრი და სინოდის ობერ-პროკურორი.

**რაჩკოვსკის** აზრით პროექტი პოლონელთა უფლების შეზღუდვის გაუქმებისა პირდაპირ უნდა დაისვას სათათბიროში გადასაწყვეტად (ტაშის ცემა).

ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

**ანტონოვი** მოითხოვს, რომ რკინისგზებზე გახშირებულ მექრთამეობის ასალაგმავად პასუხის გებაში მისცენ ხოლმე არა მარტო ქრთამის მიცემი, არამედ ქრთამის ამღები მოხელეც მისი უფროსის დაუკითხავად.

სათათბირომ ეს წინადადება ერთხმად მიიღო.

**პურიშკევიჩი** ყურადღებას აქცევს ეკლესიისა და მინისტრთა საბჭოს მოუწესრიგებლობას, რომელიც არ არის გაჟღენთილი ერთსულოვნებით და ერთის ნებისყოფითა, ომის დაწყებამდე პოლონელთა მოძულე, დღეს პოლონელების დიდი მეგობარი გავხდი, რადგანაც დავრწმუნდი, რომ პოლონელები სანაქებოდ იბრძვიან რუსის ჯარის კაცის გვერდით. (ტაშის ცემა) თუმცა ებრაელები მძულს, მაგრამ ვერ ვიტყვი, ვითომც ეხლა ყველაფერში ისინი იყვნენ დამნაშავე. ჩემის აზრით უმთავრესი ბოროტება რკინის გზის მოუწესრიგებლობაშია. ამაში დამნაშავეა ის, ვინც ხალხის ლოთობას ხელს უწყობდა. სიამაყით ვაცხადებ, რომ როდესაც რუსეთი მტერს დაამარცხებს, მემარჯვენენი სათათბიროს არჩევნებში დიდს უმცირესობას გაიყვანს, რადგანაც ხალხს უკულმა ესმის მემარჯვენეთა გულის თქმა.

პურიშკევიჩი ეხება პლეხანოვის წიგნს ომზე, სადაც ავტორი ამბობს: მე ეროვნულ შოვინიზმს მწამებენ, მაგრამ გერმანელთა სოც.-დემოკრატია ომის დაწყებამდე პროლეტარიატის მოწინავე რაზმში იდგა და ამბობდა „არც ერთი კაცი, არც ერთი გროში ომისათვის", 1914 წ. 3 მარიამობისთვეს კი რეიხსტაგში გერმანელ სოც.-დემოკრატიის ბელადმა გააზმა ომისათვის საჭირო სესხს მხარი დაუჭირა. ფრანგი სოციალისტებიც აცხადებენ, სოციალიზმი სამშობლოს სიყვარულს უარს არა ჰყოფსო. მაშ მხოლოდ რუსეთის სო.-დემოკრატია რად უნდა იყოს ერთგული ინტერნაციონალისა და სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებისა, რომელიც გერმანელებმა კაი ხანია დაასამარეს. პლეხანოვის აზრით, რუსეთის დამარცხება შეაფერხებს მისს ეკონომიურ განვითარებას, რუსეთს გერმანეთის გავლენას დაუმორჩილებს, შეჰბორკავს ხალხის თავისუფლებასო. რუსმა სოციალ-დემოკრატმა მუშებმაც შეიგნეს პლეხანოვის აზრი და ბრძოლის ველზე ყველანი მოწინავე რაზმებში იბრძვიან. სათათბირო დააფასებს ამ ღვაწლს და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოსა და მეფის წინაშე. სამაგიეროდ მადლობას მიიღებს რუსეთისა და ჯარისაგან. (ტაშის ცემა).

**ბურიანთვი.** თუმცა სოც.-დემოკრატთა ფრაქციის სახელით არა ვლაპარაკობ, მაგრამ გადმოგცემთ აზრს როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთ მყოფ სოც.-დემოკრ. უმრავლესობისას. გერმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ქვეყნის სოც.-დემოკრატიის მიზანია ჰპანი გასწიოს საფრანგეთის რესპუბლიკისა და დემოკრატიულ ინგლისის სოც.-დემოკრატიასთან. რუსეთის სოც.-დემოკრატია თავისს მოძმეებს ვერ გამოეყოფა. თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის შესარჩენად სოც. დემოკრატიის აზრით საჭიროა ხალხოსნურ თავის დაცვის მოწყობა. თავდაცვის საქმე—ეს შინაურ პოლიტიკის უმთავრესი საკითხია. აქ თავს იყრის საზოგადო ეკონომიური და საზოგადოებრივი პოლიტიკა და იგი ეთანხმება აგრეთვე რუსეთის დემოკრატიის ინტერესებსაც. ამ საკითხების გადაწყვეტაში პროლეტარიატი იმოქმედებს ყოველ კერძო მოვლენის მიხედვით. რუსეთის პროლეტარიატმა ყოველ საზოგადოებრივ თვითმოქმედებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. მივესალმებით ამ საშინელ ომის დასამთავრებლად ხალხის ყოველ ამოქმედებას, გვრწამს რომ თვითონ გერმანელი პროლეტარიატიც გადაჭრით ამხედრდება გერმანელთა იმპერიალისტურ მისწრაფების წინააღმდეგ და ხელს შეუშლის ყოველგვარ მიდრეკილებას ქვეყნების დასაკუთრებისას. მხოლოდ მაშინ ეღირსება რუსეთის პროლეტარიატი მშვიდობიანობას, რომელიც ასე ვერაგულად დაარღვია გერმანეთის კაპიტალისტურმა კლასმა. ციმერვალდის კონფერენციამ, სამწუხაროდ, შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო ამ მხრივ. გერმანელმა დელეგატებმა უარჰყვეს კონფერენციაზე წამოყენებული საკითხი, რეიხსტაგში მხარი არ მიეცათ სამხედრო სესხისათვის. ეს ადასტურებს იმას, რომ გერმანელები კვლავ ძველს აზრს ადგანან,—უნდა გავსრისოთ მოკავშირენიო. ამისათვის მუშათა კლასს და რუსეთის მთელს დემოკრატიას მოვუწოდებთ მონაწილეობა მიიღონ რუსეთის ხალხის თავის დაცვაში, რადგანაც მხოლოდ ეს არის თავდები შინაურ და გარეშე მტერთაგან თავის ხსნისა (ტაშის ცემა).

**მანკოვი.** ციმერვალდის ყრილობა მხოლოდ პატარა ჯგუფის აზრის გამომხატველია, რადგანაც მუშათა კლასის რწმუნებულება არა ჰქონია. ამისათვის ანგარიშის გასაწევი არ არის. მანკოვს მოჰყავს ჩრდილო-საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ფედერაციის დადგენილება, რომელიც ამ კონფერენციის წინააღმდეგ არის მიმართული. დანიის სოც.-დემოკ. პარტიამაც ამ კონფერენციის დადგენილება სავალდებულოდ არ მიიჩნია, მე— როგორც სოციალ-დემოკრატი, დარწმუნებული ჩვენის ქვეყნის თავდაცვისათვის ბრძოლაში, ზავზე საუბარით ვერ დავიამებ გულს მაშინ, როდესაც გერმანელების ჯარმა ხელთ იგდო რუსეთის მიწა-წყალი და ჰფიქრობს რუსეთს გულში დასცეს მახვილი. მანკოვიც მოუწოდებს დემოკრატიას ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოლონ გარეშე მტერთან და შინაურ დაბრკოლებასთან, რაც აფერხებს რუსეთის გამარჯვებას და თავისუფალ ცხოვრებას. (ტაშის ცემა).

**მაკოგონი.** ხალხი შევნებულად გადის სამშობლოს დასაცავად, მაგრამ როდესაც უკან დაბრუნდება ყველას ანგარიშს მოგვთხოვს.

**იანუშკევიჩი.** ლიტველთა სახელით აცხადებს: რუსეთი დიდი ორგანიზმია, რომლის ნაწილებსაც პატარა ერები შეადგენენ. უდიდეს განსაცდელის დროს გაერთიანებაა საჭირო. ყოველი მხრიდან გაისმის სიტყვა ეროვნებათა თვითგამორკვევისა. ვინც გულწრფელად ემხრობა ამ აზრს, არც ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოს ამ საქმის განსახორციელებლად, რადგანაც რაც დაგვიანდა, სამუდამოდ დაკარგულია. გერმანელები, რაწამს დაიპყრობენ რომელიმე კუთხეს, მაშინვე აარსებენ სკოლებს, სწავლას დედა-ენაზე აწარმოებენ, აწესებენ დედა-ენაზე სამართალს და სხვ. რუსეთიც ასე უნდა მოიქცეს. თუ წარმოსადგენია თავისუფალი რუსეთი, უნდა წარმოვიდგინოთ იგი როგორც კავშირი თავისუფალ ეროვნებათა. (მარცხნივ ტაშის ცემა).

**მ. ვ. როძიანკო** მარკოვ მე-2-ს ნალაპარაკევს ეხება და აცხადებს: სასროლ მასალის დამმზადებელ ორგანიზაციას არ აღუთქვამს, ვითომც ჯარს თავსაყრელად მიაწვდიან სასროლ მასალას, ზარბაზნებს, თოფებს. ეს არც ამ კომიტეტის საგანს შეადგენდა. კომიტეტის წყალობით თავდაცვისათვის საჭირო მასალის დამზადებამ 2-დან $5^{1}/_{2}$ ჯერ იმატა.

საზოგადოებრივმა და სამრეწველო ძალებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და ამას დააფასებს სახელმწიფო (ტაში ცენტრში და მარცხნივ). ამის შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ მარკოვის მიერ ერობათა ღვაწლის დაფასება სწორი არ არის. რუსეთის ერობამ 12 მილიონი მანეთი გაიღო ამ ომის საჭიროებებისათვის და მისი წარმომადგენელნი უანგაროდ ემსახურებიან საერთო საქმეს. მარკოვი გვიწვევს შეთანხმებისთვის, მაგრამ მან ამისთვის ცუდი გზა აირჩია, ვინაიდან არ შეიძლება შეთანხმებისთვის უწოდებდეთ საზოგადოებრივ ძალებს და ამავე დროს შეურაცხყოფით იხსენიებდეთ მათ. მაგრამ მე მზად ვარ ვიწამო შეთანხმების სურვილი, რომელიც მარჯვნით მოგვესმა. მე მოუწოდებ ყველას, რომ მათ იწამონ გულწრფელი ღვაწლი საზოგადოებრივი ელემენტებისა, მხოლოდ მაშინ შეერთდება ერობები, ქალაქები და მრეწველობა ერთ მთლიან ძალად, რომელსაც ეწოდება რუსეთი და რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება მრისხანე თავხედი მტრისათვის (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

**ნეკრასოვი** აღნიშნავს, რომ მხოლოდ დასავლეთ ფრონტზედ ერობათა კავშირს 7 ათასი დაწესებულება აქვს გახსნილი. მხედრობა იცნობს საზოგადოებრივ დაწესებულებათა ღვაწლს და თავგანწირულ მუშაობას და მარკოვი ვერ შესძლებს გასწყვე-

ტოს ის სულიერი კავშირი, რომელიც დამყარდა მომქმედ ჯარსა და საზოგადოებრივ ძალთა შორის. რაც შეეხება ანგარიშებს, ისინი მზადდება და როდესაც მოხსენდება სათათბიროს, ყველა დარწმუნდება რომ ერობათა მუშაობაში ყოველივე წესრიგზედ სწარმოებდა.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა საპასუხო დეპეშები 1) ბალტიის ფლოტის უფროსის:—„გთხოვთ გადასცეთ სახელმწიფო სათათბიროს ფლოტის გულწრფელი მადლობა მოლოცვისათვის. ჩვენი სამხედრო მოქმედების ქებით მოხსენიება ჩვენ ახალ ძალებს შეგვმატებს“. 2) შავი ზღვის ფლოტის უფროსის—„შავი ზღვის ფლოტი ღრმა მადლობას მოახსენებს სახელმწიფო სათათბიროს, რომელმაც 9 თებერვლის სადღესასწაულო სხდომაზედ ქებით მოიხსენია ხელმწიფე იმპერატორის და სამშობლოსათვის მისი სამსახური“. ორივე დეპეშას სათათბირო ტაშით მიეგება. იკითხება საფრანგეთის დეპუტატთა პალატის დეპეშა: „სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის განახლების გამო იმ აღფრთოვანებით, რომელიც გამოიწვია ხელმწიფის სათათბიროში მობრძანებამ და მიმართვამ, პალატა ხელ-ახლა უცხადებს სათათბიროს თავის მხურვალე სიმპატიებს და მოესალმება კეთილშობილ სიტყვებს, რომელნიც მოწმობენ რუსეთის მთავრობას და ხალხის შეუდრეკელ სურვილს, რომ მათ მთელი ძალა მოახმარონ მტერთან ბრძოლას ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლათ და ამასთანავე მოულოცავს იმ ბრწყინვალე გამარჯვებისთვის, რომელიც გადიხადა სახელოვან მოკავშირეთა მხედრობამ არზრუმის ციხესთან“.

დეპეშის წაკითხვას სათათბირო შეხვდა ტაშის ცემით და ძახილით— „გაუმარჯოს საფრანგეთს“. დაადგინეს გაგზავნილ იქმნეს საპასუხო დეპეშა.

**კონოვალოვიც** ეხება იმ ბრალდებებს, რომელნიც წამოაყენა მარკოვმა ქალაქთა და ერობათა კავშირის და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ. ის აქვეყნებს გენერალ ალექსეევის კომიტეტისთვის გამოგზავნილ სამადლობელ დეპეშას. ორატორი დასასრულში აცხადებს, რომ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მოღვაწეები სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად თავის მოვალეობას მთელი თავისი ძალღონით შეასრულებენ. (ტაში ცენტრში და მარცხნივ).

მარკოვი მე-II აცხადებს, რომ ვერც ერთმა ორატორმა ვერ დაარღვია მის მიერ წამოყენებული დებულებები. რადგან მან თქვა სიმართლე, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხედრობას ვერ მისცეს ვერც ერთი ყუმბარა, თოფი, ანუ ზარბაზანი (ტაში მარჯვნივ).

თავმჯდომარე ვარუნ-სეკრეტი აცხადებს, რომ მთავრობის დეკლარიციის გამო მიღებულია ს-დ. ფორმულა, მაგრამ ვინაიდან მაში მეტად მკაცრი და უხეში სიტყვები მოიპოება, ის ვერ სცნობს შესაძლებლად მის გამოქვეყნებას. თუ ფორმულის ავტორები მას შეცვლიან, მაშინ ის წაკითხული იქმნება. ფორმულის შემტანნი ამაზედ უარს ამბობენ. თავმჯდომარე ფორმულას მოხსნილად სთვლის.

ნაკაზის დარღვევის საკითხის გამო, სკობელევი საჭიროთ სცნობს წაკითხულ იქმნეს ჩხენკელის სიტყვით უკანასკნელი სიტყვები. თავმჯდომარე მოითხოვს სკობელევიდან, რომ მან მხოლოდ ნაკაზის დარღვევის შესახებ ილაპარაკოს და რადგან ის ამას არ ემორჩილება, მას სიტყვას ართმევს.

კითხულობენ შეკითხვას სამხედრო მინისტრის მიმართ სამხედრო ცენზურის უკანონო მოვლენების შესახებ.

გრაფი ბობრინსკი ამბობს, რომ თუ სათათბიროში წარმოთქმული იქმნება სიტყვა შემცდარ ფაქტებზედ და მავნე პრინციპებზედ აშენებული, ის უარ ყოფილი იქმნება სათათბიროს წევრებიდანვე. ჩხენკელის სიტყვის უსაფუძვლობა დაამტკიცეს თვით მის ამხანაგებმა, ბურიანოვმა დ მანკოვმა. ვინაიდან სიტყვის აღკრძალვა უკანონოა, უნდა მიღებული იქმნეს შეკითხვის სისწრაფე. შეკითხვა მიიღეს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელს მეთაურში სამწუხარო შეცდომაა შეპარული. ნათქვამი: „მთავრობის წარმომადგენელმა ბრძანა **ხეფე სიტყვაში**“ უნდა ყოფილიყო **„თავისს სიტყვაში.**

## სახელმწიფო საბჭო

თავმჯდომარეობს კულომზინი, რომელიც თვის სიტყვას მიუძღვნის საბჭოს გარდაცვლილ წევრთა ხსოვნას.

შემდეგ უკამათოდ მიიღეს ვასილიევის მოხსენება სახ. საბჭოს და მის კანცელარიის 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ.

ამის შემდეგ ირჩევა მორიგი საკითხი: შემოსავლის დაგვარად გადასახადი. მომხსენებელი ვასილიევი დამსწრეთ აცნობს საკითხის ისტორიას და აღნიშნავს: 7 წლის განმავლობაში სახელ. სათათბირო ამ საქმეს გზას უბორკავდა, მაგრამ ეხლა, ომიანობის დროს მან საკითხი სწრაფად განიხილა და მიიღო დიდის ხმის უმეტესობით.

წარსულ აგვისტოში საფინანსო კომისიამაც ერთხმად მიიღო იგი, თუმცა აღნიშნა კანონპროექტის უარყოფითი მხარეებიც და სთხოვს საბჭოსაც იმავ სახით მიიღოს იგი, რა სახითაც სახელ. სათათბიროდან გამოვიდაო. ორატორი აღნიშნავს ამ კანონპროექტის უპირატესობას და დასძენს ომის შემდეგ დასახარჯი ბიუჯეტი 2 ნახევარ მილიარდით გაიზრდება და ამის დაფარვა ჩვეულებრივი შემოსავლით არ შეიძლებაო. აუცილებელი გახდება ახალი გადასახადის შემოღება. ხოლო უვადო გადასახადიდან, შემოსავლის დაგვარი გადასახადი ყველაზედ ელასტიურიაო.

ფინანსთა მინისტრი იცავს შემოსავლის დაგვარ გადასახადს.

იგი აღნიშნავს იმ გარემოებას რომ ამ გადასახადის შემოღებას ყოველგან დიდ წინააღმდეგობას უწევდენ, მაგრამ რა ერთხელ მიღებულ იქმნა, ყველასთვის ცხადი შეიქმნა მისი კარგი მხარეებიო. მინისტრი ასე დაასკვნის: ჩვენ ვდგევართ დიდი საფინანსო პრობლემის წინაშე. არსებული გადასახადები გავადიდეთ. შემოვიღეთ ზოგი ახალიც. შემოსავლის დაგვარი გადასახადი დაამთავრებს საზოგადოთ გადასახადის სისტემას, ხოლო მიმდინარე საჭიროება მოითხოვს ამ კანონპროექტის დაუყოვნებლი მიღებასო.

**ანდრეევსკი** წინააღმდეგია პროექტის. იგი სწრაფად იქმნა მიღებული, სპეციალ კომისიაში არც-კი გარჩეულა. გადამხდელების მეტი წილი ბრძოლის ველზეა გასული, საფრანგეთში ამ კანონის გამოყენება ორი წლით გადაიდოო. საჭიროა გადასახადით დასაჯარიმებელი შემოსავალის მინიმუმი უფრო მცირე უნდა გახდესო. ეს ახალი წესი მიმართული შეძლებულების წინაალმდეგ და ყმობასა და საკუთრებას სრულიად გვერდს უხვევსო.

ანდრეევსკის აზრით მარჯვენა ცენტრის ჯგუფი ამ გადასახადს პრინციპულად იწყნარებს, მაგრამ აღნიშნავს რომ იგი [illegible] და წინადადებას [illegible] ერთდროული სამხედრო გადასახადის აკრეფა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს შემოსავლისდაგვარ გადასახადთან.

ანდრეევსკის უპასუხებს ფინანსთა მინისტრი სერიოზულ საქმის გარჩევის დროს არ უნდა გავყვეთ ამ ილიუზებს, რომელიც გზა და გზა აღიძრებაო...

(გაგრძელება იქნება).

# შიო მღვიმელის 30 წლის მოღვაწეობის გამო

## თეთრი მგოსანი

ჩვენს სამშობლო ლიტერატურას ჰყავს ერთი სათაყვანო თეთრი მგოსანი, რომელსაც შიო მღვიმელად ვიცნობთ. ხასხასა მისი ლექსებია ალუბლის კუნწულად შეკრული ცქრიალა სიმღერები, იის ჟუჟუნა ცრემლებით აკისკისებული ჰანგები თეთრ გამმად იგალობების ჩვენს უმანკო ნორჩ სულთა მიერ. რა ბედნიერია ამ მხრივ შიო, როდესაც ჰგრძნობს, ჰხედავს, თუ რა ნაზ და უსაყვარლეს სამეფოს გვირგვინია, რა სიამაყე არ უნდა განიცადოს მან, როდესაც ჰხედავს, რომ მის ნაწარმოებს უმანკო ფუნთუშას პაწია თითები გადაჰშლის, მარცვლობით ჩასთვლის, მარგალიტის მძივებად აჰკრებს და აღტაცებული თეთრ მტრედის ფრთებით, დაიწყებს ფრენას ანგელოზებთან! არა, როგორ არ უნდა იყოს შიო ბედნიერი, როდესაც ტოლთა შორის უმეგობრო, ობოლი სული, ასეთ ანგელოზებსა ჰმეგობრობს, მათთან ბაასობს, ტიტინებს, მათთან კუნტრუშობს, შვლის ნუკრის გიშერა რქებს ერჩის, ეპოტინება, საუბრობს ვარდთან, ველის ყვავილთან, ნაკადულთან, ერთი სიტყვით ყველა ჯურის ცხოველთან ყოველ ჯურ მწერთან, ხეხილთან. ბუნებამ უცვოდელი ენის ტიტინი ასწავლა, ბუნებამ ჯადოსნურ სარკეთი ჩაახედა თავის წიაღში, ბუნებამ მიაგნებინა ხელოვნების უმწიკვლო დარგს, უმანკოების სფერო დაასაკუთრებინა და მიტომც თითქმის ორმოცდა ათ წელს თავში ჩაჩაკუნებული მაინც ბავშვია, გულუბრყვილო, მაინც ბავშვთა სიყვარულით მოქსოვილ ბადეში ერწევა, მათ უმღერის თვის თეთრად თეთრს გრძნეულ სალამურს!

## შიო მღვიმელი და მისი პოეზია

ბუნება მაშინ მოგვწონს, როდესაც იგი ხელოვნურად მოგვეჩვენება, ხოლო ხელოვნება მაშინ, როდესაც ბუნებას ემსგავსება.

**კანტი.**

ბიძია შიო მღვიმელის ნამდვილი გვარი ქუჩუკაშვილია. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში, 1868 წელ, ყველიერის ხუთშაბათს, ზედ შიობა დღეს, რის გამოც მას შიო უწოდეს სახელად. მამა მისი, ილარიონი ოსებში იყო გამწესებული მღვდლად, სოფელ ზაყაში და ჯომაღაში. სწორედ ვაჟის შეძენისას იგი გადმოიყვანეს სოფელ ვარიანში, ასე რომ შიოც ბრეთიდან პირველად ვარიანს აწვიეს და ექვს წლამდინ აქ გაატარებინეს ბავშობის უმწიკვლო ხანა. მეშვიდე წელში ჯერ არ გადამდგარიყო, რომ მისმა უფროსმა ძმამ, გიორგიმ, სოფელ შილდის მასწავლებელმა, კახეთში წაიყვანა და იქ დააწყებინა სწავლა, სოფლის ბიჭებთან ერთად. სულ ორ წელიწადს გაგრძელდა შიოს მეცადინეობა. კახეთის ბუნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნორჩ ყმაწვილზე. ყვარელი, მისი მთები, შემდეგ ალაზანი და მისმა თვალწარმტაცმა ველებმა აღტაცების ფრთები შეასხა მომავალ პოეტს. ეს მხიბლავი სანახაობა,—ამბობს შიო თავის ავტობიოგრაფიაში,—დღესაც ცხოვლად მიდგია თვალწინ და მზექალასავით თავისკენ მეპატიჟება, თუმცა თითქმის ორმოცმა წელმა განვლო და ჩემდა სამარცხვინოდ, აღარ მღირსებია ხელახლად მენახა და მივსალმებოდი ჩემ ყმაწვილობის ტურფა აკვანსაო.

ვარიანში დაბრუნებისას შიომ პირველად გაიგო შინაური უბედურობა: თურმე მამა მისი გარდაცვლილიყო და არაფერს ეუბნებოდნენ. ბავშვი დაღონდა. მართალია დედა სანუგეშოდ ჰყავდა, მაგრამ მისი სული კაეშნით შეიმოსა. გულჩათხრობილი, სევდიანი გამოდიოდა სოფელში, ეძებდა ტოლებს, მაგრამ მისი ობლობა ვერავინ ანუგეშა, ვერავინ, გარდა თავისებრ ერთი ობოლი ბიჭისა, რომელსაც სოფლელები აჯავრებდნენ ხოლმე. პატარა შიოს გული სტკიოდა მისთვის. ხშირად ჩოხის კალთით მოუტანია მისთვის რამე საჭმელი.—ერთხელაო,—გვეუბნება თავის ავტობიოგრაფიაში,—მოუფიქრებლად შევეკითხე: აი, მე დედა მყავს, მაგრამ მამის დაკარგვამ ასე დამაღონა; შენ როგორღა სძლებ უდედ-მამოდ? პასუხის ნაცვლად ბავშვი აქვითინდა. სულელს, არ მესმოდა, თუ რაოდენი ტანჯვა მივაყენე ამ უგუნური შეკითხვითაო.

ცხადია, ისეთ მგრძნობიერ ყმაწვილს, როგორიც შიო იყო, ამ ცრემლების ფასი აღებეჭდებოდა გულის ფიცარზე, რომ შემდეგ ობლობის მწარე ბედი გამოეხატნა. მართლაც, იშვიათია ყმაწვილი, ვინც ზეპირად არ იცის შიოს „ობოლი“, სადაც სურათის აღწერილობა, სიცხოვლე იმდენად მხატვრულია, ისე ზედმიწევნით შესრულებული, რომ უნებურად ცრემლი მოგდით თვალებზე:

„მარტოდ-მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარედა“...

რა ატირებს საბრალოს? რა? მხოლოდ წინაგრძნობა, საშინელი სიცარიელე... გულუბრყვილო! ასე ჰგონია—დედა წავიდა „შორს სადღაც სალოცავადა“, და ოდნავაც ვერ მიხვედრილა, თუ მამას „რისთვის აცვია შავადა“. დღე-ღამე მომლოდინე, სიცივეში მარტოდ-მარტო მყოფი ცრემლების ანაბარად, იმდენ ხანს ქვითინებს, ვიდრე არ ჩაეძინება. მხოლოდ ამ დროს არის ბედნიერი:

„დედასა ჰხედავს სიზმარში,
ღიმილი მოსდის პირზედა;
კაბის ღილს უხსნის, ძუძუზე
ჰკოცნის და ეკვრის ჟინზედა,“

და რაკი გულს მოიჯერებს კოცნით მოჰყვება ალერსიან ტიტინს:

„სად დამემალე, სად წახველ,
ვისთან იყავი, დედაო?
სამი ღამეა, მშიერი
ვიძინებ ზედი-ზედაო.
ნულარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენაცვალეო!
თუ ფუფალასთან წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო.“

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ამ გრძნობიერ სურათს ხშირად აუტირებივარ ბავშვობაში. ვინ იცის, რამდენჯერ მომისურვებია ამ ობოლის ნახვა, რომ ცრემლი შემეშრო, როგორმე მენუგეშებინა. მხოლოდ ახლა ვხვდები თუ ამ სურათის აღწერილობამ ჩემ გრძნობათა გაფაქიზებაზე როგორი გავლენა იქონია. უეჭველია, ჩემებრ ბევრს დაემართათ ასეთი საქმე, თქვენშიც ბევრნი მეყოლებიან მეგობრადა...

სოფელმა დაკვირვების ნიჭი გაუცხოველა ჩვენ მგოსანს. ყველა ის საუკეთესო ლექსები, რაც კი მის მადლიან კალამს უჩუქებია ჩვენთვის, უმეტეს შემთხვევაში სოფლის ფერადებითაა ნახატი, ბუნების გულიდან ამოგლეჯილი.

შიო ობლობას შეეჩვია. ნელ-ნელ სოფლის ბიჭებმა წაიტყუეს. მას ნახავდით მოშაირეს, მათთან ერთად ჭალაში მოხეტიალეს. ოფოფის ბუდე არ გამოეპარებოდა. ზღაპრები, ცელქობა, თამაში, კოჭაობა, ჩიტის ბარტყების დაჭერა და მათი მოფერება-ალერსი, აი ყველა ის, რაც შემდგომ ლექსების საქსოვ მასალად გამოადგა.

მაგრამ ადამიანი ყოველთვის ბავშვი არ არის: იზრდება, ცხოვრება მოითხოვს ანგარიშს; პატარა შიოს დარჩენა ამ ყოფაში შეუძლებელი იყო. უნდა ახლა მისთვისაც გზა გაეკაფნათ. როგორ? აი საკითხი. მამისგან მას ქონება არა დარჩენია რა. უფროსი ძმა თავისისთვის ცხოვრობდა. შუათანას კიდევ იმდენი არა შეეძლო რა, რომ დედას და უმცროს ძმას დახმარებოდა. ან რას დაეხმარებოდა, როდესაც იმ დროს დიაკვანი იყო და ეს ხელობა კი, მოგეხსენებათ, ბევრი ვერაფერი სახსარია ცხოვრებაში ლხენის გასატანად. ამიტომ გადასწყვიტა შიოც დიაკვნად მოემზადებინა შუა მთის მონასტერში. ამ მიზნით სოფლიდან წამოიყვანა 1881 წ., დროებით გორში დასტოვა, ხოლო თვითონ მონასტერში გაეშურა, რათა გაეგო—ადგილი იქნებოდა თუ არა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,—იქ ადგილი არ აღმოჩნდა და ჩვენი შიოც ასცდა დიაკვნობას. ძმას სურდა ისევ სოფელში წაეყვანა, მაგრამ შიო დავითაშვილმა, ვისთანაც ჩამომხტარნი იყვნენ, აღარ გაუშვა. მათ მოამზადებინეს გორის სასტატო სემენარიაში; აქ ბევრი თხოვნისა და დავიდარაბის შემდგომ მიიღეს. ოღონდ საძილო ადგილი არა ჰქონდათ: დროებით სამზარეულოში მოათავსეს, ხან კი საავადმყოფოშიც გადაჰყავდათ.

სემენარიაში ყოფნა ფრიად ნაყოფიერი იყო შიოსთვის. ამ დროს აქ სწავლობდა ვაჟა-ფშაველა, მისი ძმები—ბაჩანა და თედო. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ვაჟამ, რომლის მკვეთრმა ენამ და ძლიერმა ფანტაზიამ თითქოს ზეშთაგონების ფრთებით დაჰბერა შიოს.

ვინ იცის, იქნებ მართლა ბოლომდე ბედი გაღიმებოდა, და შიო ამ სამ ძმას მეოთხე ძმად ამოსდგომოდა გვერდში, რომ მისი მწყალობელი დირექტორი სემიონოვი არ გადაეყვანათ. ახალმოსულმა რეფორმები შეიტანა სასწავლებელში, და მრავალ „გაწმედას“ მოჰყვა თვით შიოს დათხოვნაც.

ბევრი წყვეტების შემდგომ შიოს სწავლის დათავება ეღირსა მხოლოდ სამოქალაქო სასწავლებელში, 1887 წ. ამ სასწავლებელშივე დაიწყო წერა. მისი ლექსისთვის „ნატვრა“ კინაღამ სკოლიდან დაითხოვეს. თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელმა კოტე გვარამაძემ დაიხსნა იგი. მაგრამ ეს როდი იყო მისი პირველი ლექსი. არა, ჯერ კიდევ ბავშვობაში უფრო ნაადრევად ხალხურ ლექსების მიბაძვით „ეო-მეოს“ კილოზე გორის ბოქაული სამთლიკუდოვის მოკვლა ასწერა. შინაარსი ამ ლექსისა ნორჩი სულის აღშფოთებაა; დაწერილია სადად, ცოტა არა საკადრისი ფერადებით.

თქმა არ უნდა, ამ ლექსს არავინ დაუბეჭდავდა. დაბეჭდილიდან აღსანიშნავია პირველი, უსათაურო, რომელიც „დროება“-ში ივანე მაჩაბელმა მოათავსა 1885 წ.

**დ. კასრაძე.**

(დასასრული იქნება)



### შიოს

შენ აღზარდე ყვავილები,
ტურფა წალკოტს შენ უვლიდი;
ბულბულის ხმას უგალობდი,
გულის გრძნობას გაუშლიდი!

აღტაცებით შემოგხარის
დღეს ის ვარდი და ის ია;
შენს გარშემო ნავარდობენ,
შენს გარშემო მაისია!

**სანდრო შანშიაშვილი.**

### ვაჟკაცს

ნეტავ რას ნაღვლობ, ვაჟკაცო,
რას ჩაღვრემილხარ ძალზედა?
თავი აიღე, გამხნევდი,
იფიქრე მომავალზედა!

შუბლი ნუ შეგიჭმუხნია
ცრემლი ნუ მოგდის თვალზედა,
ხანჯალი გააპრიალე,
ხელი დაიდე ხმალზედა.

ნუ ასდევ ქვეყნის სიმუხთლეს
ბედის უკუღმა ტრიალსა
დრო მოვა, ნახავ ჰაერში
ჩვენი დროშების ფრიალსა!

თოფ-ზარბაზანი იფეთქებს,
ტყვია დაიწყებს ბზრიალსა
მტრის გული განადგურდება
დღეს რომ გვიძახის ტიალსა!..

**შიო მღვიმელი.**

ეს ლექსი და ამისივე მსგავსი ლექსი „მუქარა“ დაწერილია შიოს მიერ 1982 წელს და დაბეჭდილი იყო გუნიას კალენდარში. **რედ.**

## ახალი ამბავი

**შიო მღვიმელის დილის გამმართველი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დილა სწორედ 12 საათზე დაიწყება, რის შემდეგ დარბაზის კარი დაიკეტება და ანტრაქტამდე დარბაზში აღარავის შეუშვებენ.**

✦ **შიო მღვიმელისათვის** მისართმევად საჩუქრის სახით მისი მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასდვა 100 მანეთი და თავისს წარმომადგენლად დღესასწაულზე დასასწრებლად აირჩია ლუარსაბ ბოცვაძე.

✦ **უწესრიგობა საარჩევნო სიებში.** თბილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალაქის საარჩევნო სიები და შემდეგი ცვლილებანი შეიტანა: გამორიცხა სიებიდან 79 ამომრჩეველი, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის. აგრეთვე 7 ებრაელი და 5 დაწესებულება, რომელნიც არ იხდიან ხარჯს. სამაგიეროთ შეიტანა 143 ამომრჩეველი, რომელნიც შეცდომით გამოეტოვებინა ქალაქის გამგეობას და 28 საეკლესიო მამული რომელზედაც გაწერილია საქალაქო გადასახადი, შეუსწორა გვარი და სახელი 29 ამომრჩეველს, შეიტანა 9 მიცვალებული ამომრჩეველი, რათა მათ მემკვიდრეთ უფლება მიეცათ არჩევნებში მონაწილეობისა; ბანკები და საბანკირო კარტორებიც დატოვებულ იქმნა სიებში, როგორც სავაჭრო დოკუმენტების მქონენი. გარდა ამისა საკრებულომ დაადგინა შეტანილ იქმნეს სიებში ყველა ის სახლის პატრონები რომელთაც 10 თებერვლამდე შესაფასი გადასახადი გადუხდიათ.

✦ **მეფის ნაცვალს** დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა თბილისის ყოფილი გუბერნატორი ბ-ნი სტრახოვსკი.

✦ **„მეურნე“-ს** ახალმა გამგეობამ 12 ამა თვეს მთელი ანგარიში ჩაიბარა ძველი გამგეობისაგან. გამგეობას ყოველ დღე აქვს კრება და ცდილობს ადრე გახსნას ვაჭრობა.

✦ **წერა-კითხვის** საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე შესახებ იმისა, რომ ნებართვა მიეცეს საზოგადოების განყოფილებისა სოფ. ხაშურში (ზემო ქართლი).

✦ **საქართველოს სამხედრო გზაზე** მლეთსა და კობს შუა, ანანურსა და ფასანაურს შუა მიმოსვლა შესწყდა დიდი თოვლის გამო. მძვინვარებს ქარიშხალი.

✦ **ფულის გაფლანგვა.** ბორჯომის საუფლისწულო მამულების კასსირს ივანე ლებედევს გაუფლანგავს 75000 მანეთი და მიმალულა.

✦ **სამთო გამგეობამ** ნება დართო ბ. ა. ზედგინიძეს ვერცხლისა და ტყვიის მადნების გამოკვლევა ბორჩალოს მაზრის ადგილ „ბეიუკ-გიუნეიში“.

✦ **ნავთიან ადგილის** გამოკვლევის ნებართვა სოფ. ნორიოში, თბილ. მაზრა, მიწად-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის გამგეობამ მისაც კ. ი. ტერ-მარქაროვს.

✦ **ქუთაისის გუბერნიის** და სოხუმ-ბათომის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეთ დანიშნულ იქმნა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის უფროსი მოხელე ი. კ. მულინი.

◆ **თბილისის გუბერნატორმა** ნება დართო ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებას თელავის ფილიალ განყოფილებას 19 თებერვალს საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ გამართოს საღამო-მასკარადი.

◆ **ინგლის-ამერიკის** ერთ-ერთ ამხანაგობას შუამდგომლობა აღუძრავს ბორჯომის საუფლისწულო მამულების გამგეობის წინაშე ამ მამულების იჯარით აღების შესახებ გარდა ბორჯომის წყლებისა 99 წლით. ამხანაგობა 200 ათას მანეთს იძლევა წლიურად ხოლო 5 მილიონ მანეთს ერთდროულად.

◆ **გამოქცეულთათვის** ქალაქის კავშირი თანახმად ექიმ მინასიანცის მოხსენებისა სხვა და სხვა ალაგას აწყობს 20 მომხმარებელ სავაჭრო დუქანს, რათა სპეკულიანტების ხელიდან თავი დააღწიონ გამოქცეულებმა. თითო დუქანზე 5,000 მანეთია ნავარაუდევი მოსაწყობად.

◆ **აზრუმიდან** თბილისს ჩამოიტანეს თურქების 5 ალამი და კურანები წართმეული არზრუმის აღების დროს.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** კრება, რომელიც თებერვლის 15-ს იყო დანიშნული, გადაიდო 18 თებერვლისათვის (ხუთშაბათი).

◆ **ნავთის უქონლობის გამო** ქალაქის კერძო ელექტრონის სადგურების პატრონებმა ქალაქის გამგეობას განუცხადეს, რომ ისინი ველარ შესძლებენ გამგეობასთან დადებულ ხელშეკრულობის აღსრულებას, ვინაიდან ის ნავთი რაც მათ აქვთ ორ სამ დღეს ძლივს ეყოფათ. გამგეობამ თავის მხრივ სანოვაგეთა საქმის რწმუნებულს მოსთხოვა დროთი მოაწოდონ ნავთი ბაქოდან თბილისში.

◆ **არამიანცის სახლი.** ლაზარეთებისათვის შესაფერისი სახლების შოვნა თბილისში გაჭირდა. ქალაქის საბჭოს წარსულ კრებაზე იმ საგნის შესახებ ლაპარაკი აღიძრა და ზოგიერთმა ხმოსნებმა მიუთითეს ბ-ნ არამიანცის ახალ სახლზე გოლოვინის პროსპექტისა და ბარიათინსკის ქუჩის კუთხეში. მაშინ კრების თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა განაცხადა, რომ არამიანცს სულითა და გულით სურს და მზად არის აღნიშნული სახლი სამხედრო დაწესებულებათ დაუთმოს რაიმე საჭიროებისათვის, მაგრამ სახლი დამთავრებული არ არის ჯერ და დამთავრებაც შეუძლებელია, რადგან დიდძალი საჭირო მასალა პეტროგრადსა და ბაქოში უწყვია და მოტანა ვერ მოუხერხებია ჟამთა ვითარების გამოვო. არამიანცი მზად არისო,—განაგრძო ბ-ნმა ხატისოვმა,—100,000 მანეთი მისცეს, თუ ვინმე ისეთი კაცი აღმოჩნდება, რომელიც სახლის დამთავრებას შესძლებსო. ზოგიერთმა ხმოსნებმა მაშინაც ეჭვი შეიტანეს ხატისოვის სიტყვების სინამდვილეში. მაგრამ შემდეგ შეკრებილ ცნობით აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ხატისოვის განცხადება სიმართლეს არ ეთანხმება.

◆ **ვერის მეორე საქალაქო ქართულ სკოლაში** სამღვთო სჯულის მასწავლებლად ქალაქის თვითმართველობის სასკოლო კომისიამ მიიწვია მღვდელი ქრისტეფორე თხინვალელი.

◆ **სკოლის ეზოს გაფართოება.** ქალაქის თვითმართველობის სასკოლო კომისიამ საჭიროდ სცნო მამადავითის სკოლის ეზოს გაფართოება, რისთვისაც საჭიროა სკოლის გვერდით მდებარე ადგილის შეძენა. ამ ადგილის პატრონთან მოსალაპარაკებლად კომისიამ აირჩია განსაკუთრებული მცირე კომისია.

◆ **ნავთის უქონლობის** გამო ქალაქის კერძო ელექტრონის სადგურების პატრონებმა ქალაქის გამგეობას განუცხადეს, რომ ისინი ველარ შესძლებენ გამგეობასთან დადებულ ხელშეკრულების აღსრულებას, ვინაიდან ის ნავთი რაც მათ აქვთ ორი სამ დღეს ძლივს ეყოფათ. გამგეობამ თავის მხრივ სანოვაგეთა საქმის რწმუნებულს მოსთხოვა დროთი მოაწოდონ ნავთი ბაქოდან თბლისში.

◆ **ქარ-ბუქი.** ყარსის და სარიყამიშის ზოგიერთ სადგურებიდგან იტყობინებიან, რომ 11 თებერვალს საღამოს 5 საათიდგან დაიწყო საშინელი ქარ-ბუქი.

◆ **საფოსტო განყოფილება.** სოფ. სალხინოში (სენაკის მაზრა) და სუფსაში (ბათომის ოლქი) საფოსტო განყოფილებებსა ხსნის თბ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწ. ჟურნალ „ნაკადულის" იანვრის ნომერი მოზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის.

## პრესა და ჩვენებური საზოგადო დაწესებულებანი

(დასასრული. იხ. „საქართველო" № 33)

გამგეობის წევრებმა კი ამის შესახებ მსჯელობა უნდა იქონიონ მისაღები წინადადება მიიღონ, უარს საყოფი უარჰყონ და გამოსაძიებელ-შესამოწმებელი გამოიძიონ და შეამოწმონ. ხდება რამ ჩვენში ამის მსგავსი? არა და ეს ახირებულია. ერთ კაცს, თუ გინდ ის საზოგადო დაწესებულების წევრიც არ იყოს, შეუძლია საზოგადოების გამგეობაში წერილობითი რაიმე წინადადება ან განცხადება შეიტანოს. საზოგადოების გამგეობა ამას აუცილებლად განიხილავს და თავის მსჯავრს დასდებს, მაგრამ როცა რომელიმე პირი საზოგადოების საყურადღებოთ გაზეთში რაიმეს ბეჭდავს ამას საზოგადო დაწესებულების გამგეობა ყურადღებას არ აქცევს, აბუჩათ იგდებს და საგაზეთო უბრალო მასალად თვლის. ავიღოთ მცირე მაგალითი. ამ მცირე ხნის განმავლობაში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სამი წინადადება, ერთი (იხ. „საქართველო" № 16) სათაურით „ხსნა მეურნეობაშია" ავტორი დასაბუთებულად მოითხოვდა, რომ ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ თავისი მოქმედების რაიონი გააფართოვოს, შემოიერთოს ქუთაისის გუბერნიაც და იმოქმედოს მთელს საქართველოში ისე, როგორც მოქმედებს ქარ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, ესე იგი მისი მთავარი გამგეობა იყოს თბილისში, განყოფილება კი ყველგან, გამოსცეს ერთი ხეირიანი და შინაარსიანი სამეურნეო ჟურნალი და სხვა.

მეორე წერილი (დაიბეჭდა „საქართველოს" მე-18 და 19 ნომერში) ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საყურადღებოთ იყო და წერილის ავტორს (აჭარელ მეურნეს) მოჰყავდა თავისი მოსაზრება, თუ როგორ გაავრცელოს აჭარა-ქობულეთში ხსენებულმა საზოგადოებამ მეურნეობა.

მესამე წერილით (იხ. „საქართველო" № 24) წერილის ავტორი **ა-ნ-ი** წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას წინადადებას აძლევდა კერძო პირისაგან გამოესყიდა შიო მღვიმელის ლექსთა კრებულის გამოცემის უფლება და თვით გამოეცა. სამივე წერილი—წინადადება საკმაოდ იყო დასაბუთებული და მის საჭიროებას იზიარებდა რედაქციაც, მაშასადამე მოსალოდნელი იყო ვისგანაც ჯერ არს თავიანთ სხდომებზე ეს წინადადება განეხილათ და მსჯავრი დაედვათ. ასეთი წინადადებით საზოგადოების მოქმედების ნაყოფიერებას გაზეთი—პრესა ეშველება, თორემ ხელს ხომ არ უშლის.

მაგრამ არც ერთი წინადადება (ასეთი წინადადება სხვაც ბევრი იყო) არც ერთ ჩვენს საზოგადო დაწესებულებას არ განუხილავს და იმედია არც აწი განიხილავს, რადგანაც წინადადება ფორმალურად არ იყო შეტანილი. მაგრამ ნუ თუ საზოგადო დაწესებულება თავისსავე სასარგებლო საქმეში ფორმალურ მხარეს უნდა აქცევდეს ყურადღებას? ოღონდაც რომ არა! უკეთუ ჩემს წინადადებას მიიღებენ ჩვენებური საზოგადო დაწესებულებანი ჩემის აზრით ამის შედეგი იქნება: 1) საზოგადოების მოქმედება მეტი ნაყოფიერი იქნება, რადგან მას პრესის სახით ემატება თანამშრომელი. 2) საზოგადოება შეჰკრებს მისი საზოგადოების მოქმედების ისტორიულ მასალებს. 3) საზოგადოება ამით პრესის მნიშვნელობას მეტ ფასს დასდებს და მაშასადამე პრესას ხალხის თვალში აამაღლებს. 4) საზოგადო დაწესებულება ამით კერძო პირებს (არა გამგეობის წევრებს) წაახალისებს და გამოიწვევს საზოგადოების სასარგებლო საქმეზე სხვებმაც იზრუნონ და სხვა.

ვიცი არც ჩემ წინადადებას განიხილავენ, რადგან მე პატარა კაცი ვარ, მაგრამ მაინც არ დავდუმდები: „ზღვაში მუგუზალს ვკრავ და ზღვა არ დაიწვება, რა ჩემი ბრალი იქნება".

ა—ნ წ—ლაძე.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

კვირას 7 თებერვალს საადგილ-მამულო ბანკის შენობაში მოხდა „სამშობლო"-ს ამხანაგობის წევრთა მესამე საზოგადო კრება. ამ ჟამად კრებას 37 კაცამდი დაესწრო.

— სამშაბათს, 9 თებერვალს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო ჭიათურაში გაემგზავრა სხდომისთვის.

**ჭიათურა.**

იანვრის განმავლობაში ჭიათურიდან რუსეთში ბალაჯარის გზით გაუზიდიათ სულ 420 ვაგონი შავი ქვა.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

„ნიჯათი"-ს საზოგადობა. კვირას, 7 თებერვალს, მოხდა საზოგადო კრება „ნიჯათი"-ს განმანათლებელ საზოგადოებ?ისა. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ალიბეგოვი რომელმაც კრება გახსნა და სთხოვა დამსწრეთ, ფეხზე ადგომით პატივი სცენ ახლად გარდაცვალებულ ვეზიროვის ხსოვნას, რომელიც ამ საზოგადოების წევრათ ირიცხებოდა. საზოგადოებამ დაადგინა გვირგვინის მაგიერ, 2,068 მან. გადაეცეს ობლების სასარგებლოდ.

აგრეთვე საზოგადოებამ განიხილა 1915 წლის ანგარიში, რომელიც 18,523 მან. აღემატება; საზოგადოებას ხარჯი ჰქონია 13,252 მან. შემდეგი კრება დანიშნულია 20 მარტისათვის.

## სომეხთა ცხოვრება

მოსკოვის სომეხთა კომიტეტი დეპეშით შეეკითხა ქალაქის კავშირის რწმუნებულს ხატისოვს: შეგვატყობინეთ რაოდენობა და მდგომარეობა აზრუმიდან, მუშიდან და ხნუსიდან გამოქცეულ სომხებისა, რათა დახმარება აღმოუჩინოთო.

—„ჰორიზონ"-მა დეპეშა მიიღო: აზრუმში მრავალი ქონება დარჩათ სომხებს და საჭიროა კაცების გაგზავნა, რომ უპატრონონ.

— სომხურმა დრამატიულმა საზოგადოების სექციამ განიხილა პიესები თარგმნილი და ორგინალი და არც ერთი არ მოიწონა.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლში** დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე გაიმართება დილა სამს განყოფილებად, 1) ლექცია: შრომის მოციქული—პოეტი იოსებ დავითაშვილი; 2) ყაჩაღი კაკო ბლაჭიაშვილი; პოემა ილია ჭავჭავაძისა; 3) ლექსები, სცენები და სიმღერები. დილაში მონაწილეობენ: მსახიობნი: გ. გედევანოვი და ან. ადამიძე; პ. ფალიაშვილი, იოსებ იმედაშვილი, გ. ფირუმიანი, ს. რომანიშვილი, ბ. ძიმისტარაშვილი, გ. იორდანაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. სალირაშვილი, ვ. მინდიაშვილი, გ. ჯაბაური, გ. შინატეხელი, ი. თარალაშვილი, ბ. ახოსპირელი და სხვანი.

— —

**გორი.** ოთხშაბათს, 10 თებერვალს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გორის განყოფილების გამგეობასთან, ახლად დაარსებულ დრამატიულ სექციის მიერ, რომელსაც სათავეში უდგია დრამატურგი და მოღვაწე ბ. ნიკო შიუკაშვილი, წარმოდგენილ იქმნა ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „გამცემი", ამით დაიწყო ქ. გორში ახალი ისტორია ახალი საქმიანობისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის-მოყვარეთა საუკეთესო ძალები, თვითონ ბ. ნ. შიუკაშვილის რეჟისორობით. ამიტომაც იყო, რომ ნავსი გატყდა და აქაურ საზოგადოების მიერ ყბად აღებულ სცენის-მოყვარეთ მოხდენილის თამაშით სძლიეს მტერი,—უიმედობა და ალმაცერი ცქერა ჩვენს „შემოქმედებაზედ". ახლაც ბევრი ბატონი არ გვეწვია, არ იკადრა „გოგო-ბიჭების ლაზღანდარობა", როგორც ისინი ეძახიან აქაურ სცენის-მოყვარეთ, მაგრამ ვინც დაესწრო და ნახა ამ დღეს გორის სცენაზედ (მარტო სახელით ჰგავს გორის საზოგადო საკრებულოს დარბაზის სცენა ნამდვილ სცენას) სოფლად რომ იტყვიან „პირ კატა ცემულნი დარჩნენ"... არ მოველოდითო!

პიესის გმირის როლში (შაქრო) გამოვიდა აქ ყველასათვის კარგად ცნობილი ძველი სცენის-მოყვარე ბ. დ. ცერცვაძე. მას მართლადაც უყვარს სცენა და ყოველ დაკისრებულ როლების შესწავლა-შეთვისებას ბეჯითად ექცევა. ახლაც ეტყობოდა ცდილა, დაჰკვირვებია გამცემის როლს და მისი სულისკვეთება ზედმიწევნით გადმომეცა.

ასევე უნაკლულოდ ჩაატარა „მარიკოს" (შაქროს დედა) როლი ქ. მაისურაძისამ. ნამდვილი უბირი ხასიათის ქართველი დედა, რომლისთვისაც ცხოვრების წვასა და დაგვის განვლის ჟამს თუმცა თავისი დაღი დაუსვია, მაგრამ შეუდრეკელად ებრძვის დუხჭირს ბედს და შვილსაც აქედ ეწევა. ასეთია „მარიკო" შაქროს დედა და ასეთიც ვნახეთ ქ. მაისურაძის თამაშში.

საუცხოვო იყო ქ. ნ. ნასარიძე „ნინას" (შაქროს საცოლეს) როლში. თუმცა ხშირი სტუმარი არა ყოფილა იგი სცენისა,—სულ რაღაც სამიოთხჯერ გამოსულა, მაგრამ თავი ისე თავისუფლად უჭირავს სცენაზედ, გეგონებათ გამოცდილი, დამსახურებული მსახიობიაო.

ივივე ითქმის ქ. ბელაშვილ-თულაშვილისაზედ. იგი პირველად გამოვიდა სცენაზედ და ისიც ისეთ საპატიო როლში, როგორიც არის „დარია", (არჩილის დედა, კნეინა) რაც მისგან ადვილად დაძლეულ იქმნა და მით ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება... კარგი იყო ქ. ა. პატაპოვიც (ელენე).

დანარჩენიც—ბ.ბ. დ. მაჭავარიანი, (არჩილი) ა. ჩუტკერაშვილი (მიხაკო) ი. ირემაშვილი (ლევან) და ე. ხუციშვილი (სიკო) საერთოდ კარგად თამაშობდნენ და მით ანსამბლს ხელს უწყობდნენ, მხოლოდ უკანასკნელმა ცოტა მოიკოჭლა და მოლოდინი ვერ გაგვიმართლა. საერთოდ, ვიმეორებ, პიესამ მშვენივრად ჩაიარა და, იმედია, შემდეგ უფრო მეტის დაკვირვებით, მეტის გამოცდილებით მიეცემიან საყვარელ საქმე ეს ახალი მუშაკნი ჩვენი სცენისა.

**ურბნელი.**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან . . | 2 „ 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 „ | „ |

## რუსეთი

**საზოგადოებათა დახურვა.**

მოსკოვში დახურეს გერმანელების რვა საზოგადოება.

**ქაღალდის ნაკლებობა.**

ორენბურგის გუბერნატორმა განკარგულება გასცა, ქაღალდი რაც შეიძლება დაზოგვით დახარჯონ. გუბერნატორი ურჩევს მოხელეებს ოფიციალური ქაღალდების ზომა ნახევრიდან მეოთხედამდე შეამცირონ: ისარგებლონ აგრეთვე მოშაო ქაღალდით. ამასთანავე გუბერნატორმა არქივარუსებს მისწერა, არქივიდან გამოიღეთ დაუწერავი ქაღალდი და საჭიროების მიხედვით მოიხმარეთო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო გვრიტი ჭანტურაიას ასულს, რომელმაც ქალაქ ფოთში—ნაცნობ-მეგობრებში შეკრიბა, ფულათ 17 მან. და 50 კაპ. წიგნი 58 ცალი ჩვენს ღარიბ ონტოფოს სამკითხველოს სასარგებლოდ. აგრეთვე მადლობას ვწირავ იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილი გამოიღეს ფულად თუ ნივთებით.

პატივისცემით სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით გამგეთაგანი მასწ. **ვლადიმერ ჩიხლაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**


**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეგველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს**

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭვდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უძლაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კილაძისა, გამგეის შესახვევი № 4.